

თავისუფალი საქართველო

№ 23
თავისუფალი
საქართველო

შინების - 1 ივლისი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

ის, რას ჩვენში ხდება, მოქალაქეებს სახელმწიფოს სწავლებს,

თქვა დემოკრატმა შევარდნაძემ და პოლიციას
ცილისმწამებელი პრესისგან დაცვა სთხოვა.

სახელმწიფო კანცელარიის შენობაში, 19 ივნისს გაიმართა მთავრობის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განხილეს 1996 წლის 5 თვეში საქართველოს ეკონომიკისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა. თათბირს ესწრებოდნენ მინისტრები, სამხარეო რწმუნებულები, რაიონის გამებლები.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ გულუა მისაველის აღებაზე და პურის ფასების ლიბერალიზაციაზე საუბრისას უცბად აღმოცნა: "ჟურნალისტები ხშირად საშინლად გულუბრყვილო და პროვოკაციულ კითხვებს იძლევიან, ხოლო გაზეთებში ისეთ რაღაცას წერენ, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს.

პრეზიდენტმა ამ გამოსვლას ადგილიდან გაუკეთა კომენტარი: "სამართალდამცავი ორგანოების მოვალეობაა დაიცვან ხელისუფლება ასეთი ავანტიურებისგან მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ის, რაც ჩვენში ხდება, ყოველგვარ სახელმწიფო სტილს... თუ თქვენ ხელისუფლების დაცვა არ შეგიძლიათ, ხალხსაც ვერ დიცავთ. უნდა გაანალიზდეს ყოველივე ეს და ცილისმწამებლები საჯაროდ უნდა გამოვიყვანოთ სამსჯავროზე."

პრეზიდენტმა იქვე მოსთხოვა სამართლებრივი სტრუქტურების ხელმძღვანელებს ერთ კვირაში მოახსენონ "ცილისმწამებლებთან და დეზერტირებთან" ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ.

"რეზონანსი" №91 (507) 20 ივნისი, 1996

შეპარდნაძე აბოზორდა

და მოითხოვა ანგარიში ცილისმწამებლებთან და
დეზერტირებთან (?!) ბრძოლის თაობაზე

ეს "ცილისმწამებლები და დეზერტირები" (აღბათ, დეზინფორმატორებს გულისხმობდა და აღეგულებს ენა აებნა) კი მან ქართულ პრესაში მოიძია. როგორც ჩანს, ჟურნალისტთა ამქრიდან ვიღაცამ არ ააცილა მიზანს, თორემ, აბა, ასე რატომ უნდა დედადგეს მსოფლიო დემოკრატის მესაჭე, პოლიტიკური თეორიის ცოცხალი კლასიკა, რომელიც თავად შეესწრო საკუთარი ფენომენის აღიარებას. ბოლოს და ბოლოს, წერენ, ჰაუბიციებს ხომ არ ისვრიან...

თუმცა, მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე ამ თემაზეც გაიხილა: "თუ თქვენ ხელისუფლების დაცვა არ შეგიძლიათ, ხალხსაც ვერ დიცავთ" - საკრალური ჭეშმარიტება მიახალა შევარდნაძემ სამართლებრივი სტრუქტურების ხელმძღვანელებს. შეგვიძლია აზრი განავრცოთ და მეტად საინტერესო დასკვნამდე მივიდეთ. მაგალითად, ვინც დღეს ხელისუფლების წინააღმდეგ აღ-

მართა კალამი, ხელ ხალხის წინააღმდეგაც გაილაშქრებს; ვინც დღეს კალამი აღმართა, ხელ იარაღსაც აისხამს, იქნებ არტილერიაც მოიშველიოს, მიიმე ტექნიკაც... ერთი სიტყვით, სახელმწიფო გადართობის ზღვარზე ვდგავართ და წინ უკვე იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის ყბადღებულ 65-ე მუხლი - სამშობლოს დაღატი.

აი, ასე იწყება ყველაფერი - ჯერ ცილისმწამებენ, მერე ისვრიან. თუმცა, ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გავიარეთ და ახლა მხოლოდ გასარკვევია: როგორ - როცა არ მოვწონს ხელისუფლება, ნუთუ არ გაქვს უფლება, რაც გინდა, ის დაწერო მასზე, თუნდაც დასწამო ცილი, თუნდაც დაამხო?.. ჩვენ კი გეგონა, რომ ყველას აქვს ამის უფლება.

და თუ არა აქვს, მაშინ იმავე სამართალდამცავი ორგანოების მიმართ გაქვს სავესებით სამართლიანი და ლოგიკური მოთხოვნა.

როდის ჩააბარებენ ქართველ ხალხს ანგარიშს იმ პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ, ვინც უცხო, დამპყრობელი ქვეყნიდან ჩამოსვლისთანავე მოუწონა ქართულ ინტელიგენციასა და საზოგადოებას იარაღის ხელში აღება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა? ვინც ცილი დასწამა ქართველ ხალხსა და მის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მათ ბრძოლას "პროვინციული ფაშისმი" უწოდა? ვინც თვითმარქვეა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის სტატუსით ციხეებიდან გაშვებულ კრიმინალთა ბანდელს მისა შვედილობიან მოსახლეობას? ვინც დაიბრალა უმადლესი მთავარსარდლობა და ჯერ საქართველოს დამლუკველი ომი დაიწყო, შემდეგ კი მის მიერვე გათამაშებული გარიგებით განაიარაღა ქართული ჯარი? ვინც ომის ბოლო ეტაპზე სამარცხენოდ მიატოვა ბრძოლის ველი განცხადებით - სოხუმი დაცვა, აფხაზეთი დაკარგულა! გაარკვია თუ არა შესაბამისმა ორგანოებმა - "უმადლესი მთავარსარდლის" ეს განცხადება ბრძანების სახეს ატარებდა, თუ ფორმის სახეს დეზორგანიზაციის შეტანის მიზნით გავრცელებულ დეზინფორმაციას წარმოადგენდა? ვის მიერ ხელმოწერილი შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი - აფხაზეთი და შიდა ქართლი - არ ექვემდებარება საქართველოს ოფიციალურად. ვინც ყველა ამ დანაშაულთა ჩადენის შემდეგ თავს არიდებს პასუხისმგებლობას და ცდილობს, მის მიერ ჩადენილი დანაშაული სხვა, თანამდებობრივად მასზე დამოკიდებულ პირებს გადააბრალლოს.

ეს მხოლოდ მცირე ნუსხაა დანაშაულებრივ ქმედებათა, რომელთა საფუძველზე უკვე რა ხანია შეიძლება ბრალდების წაყენება სსკ 65-ე მუხლის თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ ეს პიროვნება მართლაც არ აგებდა პასუხს თავის ქმედებებზე და მართლაც სხვისი მორჩილი მარიონეტი იყო, რატომ არ ისმება საკითხი მისი არაქმედითარინობის შესახებ? შეიძლება თუ არა, ადამიანი, რომელსაც ოთხი წლის მანძილზე არ გააჩნდა საკუთარი ნებელობა და კრიმინალური ელემენტების მითითებით მოქმედებდა, კვლავაც დარჩეს ხელისუფლების სათავეში?

საზოგადოებას უკვირს კიდევ, რატომ არ იღებს არავითარ ზომებს პროკურატურა. ახლა ხომ "მხედრონი" აღარ თარეშობს, მაშინ ვიღასი ეშინიათ?!

ანა ჭავჭავაძე

დახვრება - სტალინური პრაქტიკის საფუძველზე

სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი დღეს ისეთივე
ფართო გამოყენებაშია, როგორც 30-იანი წლების რეპრესიების
დროს იყო 58-მუხლი

17 ივნისს სასამართლო კოლეგიამ, მოსამართლე ჯემალ ლეონიძის თავმჯდომარეობითა და მსაჯულების - მ. ამირანაშვილისა და მ. ღორთლიშვილის შემადგენლობით, კანონიერი ეროვნული გმირის ოფიცერს, სამხედრო ტყვე ბადრი ზარანდიას გამოუტანა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრება.

თავად ეს ფატი უკვე საგანგაშოა, მაგრამ არანაკლებ შემაშფოთებელია საქმის სხვა გარემოება. განაჩენსა და მას დართულ № 1 განჩინებაში სასამართლო კოლეგიამ, ფაქტობრივად, აღიარა ბრალდების მხარის სრული უსუსურობა და წინასწარ ძიებაში დააბრუნა № 5394853 საქმის საქმოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, თითქმის ყველა ეპიზოდი, რომელიც შეიცავდა, სსკ 104-ე მუხლით, დამამძიმებელ გარემოებებში განხრახ მკვლელობის ბრალდებას და რიგი ეპიზოდები, რომელთა საფუძველზეც განსასჯელებს ბრალი ედებოდათ ბანდითობაში.



ბადრი ზარანდია

განაჩენის თანახმად, "სასამართლო კოლეგიის მიანა, რომ ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდებში საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებით გამოძიების ჩასატარებლად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებაში აღნიშნულ გარემოებათა გამო, განჩინებაში კი აღნიშნულია, რომ ძიებამ არ ჩატარა სათანადო ქმედებები რიგი გარემოებების დასადგენად, არ იქნა დაკითხული ყველა მოწმე, არ იქნა ჩატარებული დაბრძანებები, არ იქნა გათვალისწინებული რიგ მოწმეთა ჩვენებები, არ მოხდა ყველა მოწმის გაყვანა შემთხვევის ადგილებზე და ა.შ.

ფაქტობრივად, განაჩენის საფუძველზე აღიარებულია, რომ ხსენებული საქმე არ არის გამოძიებული და მიუხედავად ამისა, სასამართლო კოლეგიამ უფლებამოსილად ცნო თავი, გამოუტანა განაჩენი, თანაც სასიკვდილო განაჩენი.

სამართლის სპეციალისტთა თქმით, ეს განაჩენი წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, როდესაც საქმეში მონაწილე მთავარი ბრალდებულის მიმართ გამოტანილია სასიკვდილო განაჩენი, სამ ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 13-დან 15 წლამდე და ამავე დროს სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ წარდგენილ ბრალდებათა დიდი ნაწილი არ არის საკმარისად გამოძიებული, რის საფუძველზეც ბრალდების ეს ეპიზოდები და ორი განსაჯელის საქმე კვლავ დაბრუნებულია წინასწარ ძიებაში.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ბადრი ზარანდიას მიმართ სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი იქნა სსკ 65-ე მუხლით - სამშობლოს დაღატი - მოტივირებული ზოგადი პოლიტიკური ბრალდებების საფუძველზე, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებები ასევე არ არსებობს საქმეში, ანუ ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად ცნო, ძიება შემოიფარგლა "ზედად გამსახურდასა და მის მომხრეთა საქმეში" შესული უნივერსალური ბრალდებებით, რომლებიც

მდარე ბელეტრისტიკის დონეზე შედგენილი და მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას.

მაგალითად, აღსურველი ბრალდება, რომ სოხუმიდან განდევნილ მოსახლეობას სვანეთის გზით მოუხდა წამოსვლა, ვინაიდან სოხუმი-ზუგდიდის გზა გადაკეტეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული გმირის ნაწილებმა, არაერთხელ იქნა უარყოფილი უკვე დამთავრებულ და ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესებზე თავად ბრალდების მხრიდან მოწმეებად წარმოდგენილი არსებული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, რომელთაგან არაერთმა ისიც კი თქვა, რომ ამგვარი ბრალდება მხოლოდ მას შეიძლება გაუჩნდეს, ვინც გეოგრაფია არ იცის.

ამასთან, ბადრი ზარანდიას მიმართ გამოტანილი განაჩენი, ისევე, როგორც "ზედად გამსახურდასა და მის მომხრეთა საქმიდან" გამოყოფილი სხვა საქმეების თაობაზე გამოტანილი განაჩენები, ფაქტობრივად, წინ უსწრებს ვახტანგ ქობულაიას, ჯამბულ ბოკუჩავას, ზვიად ძიძგურისა და ნუგზარ მთელიძისაშვილის ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესებს, რომელთაგანაც სულ უფრო მეტად იკვეთება 1992-93 წლების მოვლენების ახალი ასპექტები და დასტურდება ბრალდებისა და ძიების სრული არაკომპეტენტურობა, საქმეების ფაქტობრივობის პრაქტიკა.

შეიქმნა მეტად სახიფათო პრეცედენტი და დამხობილი ხელისუფლების ამჟამად პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ მომხრეს, რომლის საქმე განხილვება უზენაესი სასამართლოს მიერ ან ჯერ კიდევ ძიებაშია, სამშობლოს დაღატი ბრალდებით, შეიძლება, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ. მაგრამ ისტორიული გამოცდილება და ლოგიკა გვასწავლის, რომ რეპრესიების უნივერსალურად ქცეული მეთოდი ჯერ ერთ ჯგუფზე გამოიყენება და შემდგომ, ადრე თუ გვიან, ყველას მოერგება.

მამუკა ტუსიშვილი

“სარკმელი“ ეპროპისკენ დახურულია

ქართული კინოეკლექტა შვითავს გიორგი გვახარიას შემოქმედებით თავისუფლების შეზღუდვის გამო და “სადაც მშვიდობისა“ მ. როგორც ყველაზე “დემოკრატიულს“ ტელეგაერთიანებას, ელიტარული ტელეგადაცემა “სარკმელი“ დასურვასთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალი მაყურებელთა სამხედროზე გამოიტანა. ცენზორის როლში აღმოჩნდა ტელევიზიის პირველი არხის კინორედაქციის ხელმძღვანელი ზურაბ აბაშიძე (არ შეგეშალოთ შევარდნაძის პრესმდგანში), რომელიც სიმწრის ოფის იმპერატორს - თავად გიორგი გვახარიას, ევროპული აზროვნების მთავარ ექსპერტს - ნოდარ კაკაბაძეს, გაზეთ “დროის“ უნივერსალს - თამარ ჩიქოვანს, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობდა სხვა მოწვეულ ჟურნალისტთა ფონზე, რეინისწყალდაღებულ გიორგი მასისურაძეს, რომელიც რეკლამაციონერ სტუდენტთა ლიდერობამ ევროპულ სწავლა-განათლებას აზიარა და, არც მეტი, არც ნაკლები, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ქართული სისხლიანი რევოლუციის ერთ-ერთ იდეოლოგს - ელდარ შენგელაიას.

ქართულ საზოგადოებაში კიდევ არის ვინმე, გურამ პეტრიაშვილის გარდა, ვინც ხელს აღმართავს შემოქმედებით ინტელიგენციას? მაშ რა, ტყუილად დაღვარეს ამდენი სისხლი? “ვის აქვს უფლება, რაიმე აუკრძალოს შემოქმედს“ - ცხარობდა რეჟისორ-ვიცესაიკერი - თუკი გოგი წავა კომპრომისზე, იგი დაკარგავს ჩემს სიყვარულსა და პატივისცემას“. და გოგი არ თმობს პოზიციებს, იგი პრინციპის ერთგული რჩება... “სარკმელი“ იხურება. ჩვენ შეგნებულად არ ვიჭრებით შემოქმედებით პოლემიკაში “სარკმელის“ ავტორების თაობაზე. შემოვივარდლებით მხოლოდ ერთი რეპლიკით - ელიტარული ხელისუფლება არსებობს და ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ელიტარულია სულაც არ არის დიდი და ნამდვილი ხელისუფლების სინონიმი. პირიქით კი ყოფილა, და ამის საუკეთესო მაგალითია თავად საქართველო, სადაც ყველაფერი ხალხური ყველასთვის მისაწვდომიც იყო და თვისობრივობითა და ხარისხით ელიტარულ სიმაღლეებს აღწევდა. ეს ძალიან შექმნილი სკანდალები კი იმითაა საგულისხმო, რომ ააშკარავეს ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ნოსტალგიას უძრავობის იდეისადმი, ოდეს ცკ-სა და პარტაქციის რეკორდებს ჩინებულად უთავსებდნენ რიჩარდის ფრენში გამოწვევით სტალინიზმის მხილვას. დღესაც - დემოკრატიული რევოლუციის ავანგარდს არ ეთმობა ძალად დისიდენტობის დაფინანსებელი გვირგვინი და გმირული პათოსით ებრძვის ჩინოვნიკს, რომელიც ცდილობს, შიორგოს თავად “ავანგარდის“ თარგმან აჭრიდო პოსტსაბჭოური შინგელი.

ირაკლი ღვებუაძე

უკანასკნელ ხანს საქართველო მრავალი ექსპერიმენტის ადგილად იქცა. რუსეთი თავისი სამხედრო მენტალიტეტით ცდილობს შეინარჩუნოს საქართველო, როგორც პოლიგონი. ხოლო დასავლეთი უფრო დინჯად და თვითდაჯერებით ახორციელებს მის, როგორც გართობის ადგილის, რეკონსტრუქციას დიდი კომერციული პერსპექტივებით. მისი მიზანია “სათამაშო ქაღალცის“ დის-გაიყიდება. დროთა მანძილზე ილუზიის ტყვეობაში თითოეული ჩვენგანი, ნებისთნე უნებლიეთ, თავად აღმოჩნდება ამ თეატრალიზებული სიყვარლის მონაწილე. წამლევა ზღვარი ისტორიულ რეალობასა და ფანტაზიას შორის და, მოწვევებითი კეთილდღეობის ზეიმში, დაიწყება მიცემა წარსულის ტრაგიკული ეპიზოდები. ერთ დროს გატანჯული და და-

ლიერებელი ერთდროულად აღიქვამს რამდენიმე მოვლენას - მარჯვნივ, მარცხნივ თუ პირდაპირ. მას დრო აღარ რჩება, რომ უკან მოიხედოს და შეამჩნიოს, რომ რობოტი, რომელიც ახლახან იხილა, უკვე იმერებს თავის უცვლელ სცენარს“. დასავლეთი ცდილობს იმგვარად შემოგვაგზავოს ილუზია არცთუ ისე სახარბიელო ალტერნატივის ფონზე, რომ არც კი დაგვედო მის სიყვარულში. პირიქით, უაქლავოდ მიიღო და გაითავისო შემოთავაზებული მოდელი მომავლის ურბანისტული აგლომერატის შექმნის ამბიციებით. ხოლო შენი ქვეყანა, რომელიც არსებობის სულ სხვა პრინციპებს ემყარება, აქციო მომხმარებლური საზოგადოების პაროდიულ ალგორითად, სადაც ტოტალური პასიურობა სუფევს, სადაც დათრგუნულია ყოველგვარი ინდივიდუალური ინიციატივა. ასე შენდება დასავლური დემოკრატიის მოდელზე მოწვევითადაც თავისუფალი, სინამდვილეში კი საგანგებოდ ჩაკეტილი სოციუმი, რომელსაც არ გააჩნია გარდაბანალი სივრცე თავისუფლების მარადიულ განხორციელებების.

new aspects of events of 1992-1993 are becoming more and more clear alongside with the evidence of the complete incompetence of the investigation, and the practice of cases falsification. Most dangerous precedent has been created, and any presently imprisoned supporter of the overthrown authorities whose case will be heard by the Supreme Court can be sentenced to death. The logic and experience of the history teach us that repressions methods which became universal is first tested on one group of citizens and then earlier or later it will be practiced for the whole of population. Mamuka Tusishvili The Prosecutor's Office Admits... That it was afraid of "Mkhedroni". Who is this notorious body afraid of today? After nearly sensational statement of Anzor Baluashvili by which he recognized the right of the supporters of exiled authorities to fight for the restoration of their authorities at least until October 11, 1992, one more deputy Prosecutor General Revaz Kipiani makes similarly noteworthy confession by trying to present the Prosecutor's Office as a victim of "Mkhedroni". According to him "... The people's revolt in Megrelia was not ungrounded. We failed to overcome the barrier of "Mkhedroni" (the "7 Dge" newspaper, #24, June 14-16, 1996). To the question of the journalist Lia Toklikashvili: "The crime of "Mkhedroni" was evident already three years ago (...) and three years ago your office was functioning with you occupying the same post as today. What interfered with you then to bring the charge against "Mkhedroni"? - the deputy Prosecutor general answered without the shade of awkwardness: "I will answer you with the counter question: Where were you, journalists, then? Which of you came to

სათამაშო ქაღალცი

ქეთევან ჭურღოვანიძე

TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) No23 (in brief) 25 June - 1 July, 1996

One More Political Court hearing will be Held in the Supreme Court The defendants Koba Dzidziguri, Vazha Tsereteli, Zaza Danelia and Giorgi Korbesashvili are over with getting familiarized with the materials of their case. As it is known these procedure proceeded rather dramatically: often the numbered pages of the volumes of the Case were changed with others - in some volumes the number of pages sometimes increased and sometimes decreased; the political prisoners claim that the materials of the Case contain their forged signatures; the investigation did not allow the defendants to read newspaper publications and Xeroxed copies of other official documents. It became known that their multiple appeals and demands to meet with the supervising Prosecutor in relation with continuous falsification of the materials of the Case and other significant documents were rejected. The curator of the Case well-known A. Baluashvili restricted the time available for the defendants to get familiarized with the materials of the case - to read 8 volumes of the case the prisoners were given only 14 working days. At the same time, as one of the political prisoner G. Korbesashvili notes the investigator Otar Japaridze on May 17, 1996 took the notes and remarks of the defendant which he kept recording the violations which took place in the

course of investigation. Presently the Criminal Case of K. Dzidziguri, V. Tsereteli, Z. Danelia and G. Korbesashvili is already passed to the Supreme Court for hearing. "Rezonansi" newspaper # 91 (507), June 20, 1996 Shevardnadze Asked the Police to defend him from the Press On June 19 the united meeting of the Government was held in the building of the State Office. The Food and Agriculture minister Bakur Gulua unexpectedly became very angry: "The journalists very often ask extremely ingenious and provocative questions; on the other hand they publish such things in their newspapers which have nothing to do with the truth". President commented this statement: "The law and Order Bodies are obliged to defend the authorities from such escapades within the legislation in effect. What is going on in our country goes behind any limits... If you are unable to defend the authorities you will fail in defending people too. Everything should be properly analyzed and the slanderers should be publicly put to trial". Then the President demanded from the heads of the legal structures within one week term to report him on the course of fight against "the slanderers and deserters".

Death Sentence on the Basis of Stalin's Practice Article 65 of Criminal Code of Georgia is Used as Broadly as was Used Article 58 During the Repressions of Thirties On June 17 the Court Board under the chairmanship of the judge Jemal Leonidze with the assistance of the jurymen M. Amiranashvili and M. Gortlishvili pronounced a death sentence for the officer of the lawful National Guards, prisoner of war Badri Zarandia. In accordance with the comment of the Law experts this verdict is an unparalleled event in the Court practice of Georgia, when the major defendant of the Case is sentenced to death, while three other defendants are sentenced to 13 to 15 years of imprisonment and at the same time the Court Board assumed that the great majority of the charges brought against the defendants were not investigated sufficiently well, basing on which these episodes and the Case of two defendants were returned to the preliminary investigation. Of special concern is the fact that the verdict of death sentence to Badri Zarandia was made on the basis of Article 65 - High Treason - and motivated by general political accusations, the confirming proofs of which do not exist in the materials of the Case, or to be more exact in that part of indictment which the Court recognized as confirmed. The investigation was confined with universal accusations formed in the Case of "Zviad Gamsakhurdia and his Supporters" which are of poor fictional quality and do not contain any legal substantiation. At the same time the verdict pronounced for Badri Zarandia like the verdicts pronounced in other Cases isolated from the Case of "Zviad Gamsakhurdia and his Supporters" actually preceded the currently ongoing Court hearing of Vakhtang Kobalia, Jambul Bokuchava, Zviad Dzidziguri and Nugzar Molodinashvili Case, at which the

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე EDITOR IN CHIEF TAMAR EBALIDZE მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227 Address for correspondence: Box # 227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441 იბეჭდება ს/ს კეგელში